



საქართველოს კონტროლის კადატის აუდიტის  
აქტი

№ 21/00.

, 23. „ 03.08.2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ გ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

*(Signature)* 0ლია გოცირიძე

23 0860ს0

„-----“ 2011 წლის 23 აგვისტი

ვეზ. N2

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2010 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი .....	გვ.2
ნაწილი II - ძირითადი ტექსტი .....	გვ.3

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა .....	გვ.3
1.2 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა .....	გვ.14
1.3 გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა .....	გვ.15
1.4 დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა .....	გვ.16
2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა .....	გვ.18
3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა .....	გვ.19
ნაწილი - IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი .....	გვ.20
ხელმოწერები.....	გვ.20

### ნაწილი I – შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 თებერვლის N18/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორი - ანა ალავერდაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) აუდიტორები - მირიან ჯორჯიაშვილი და მამუკა გოგოხია.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე -ფინანსური (კამერალური).

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული მისამართია:

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6 ტელ: 37-80-09; ფაქსი: 37-80-13.

[www.maf.ge](http://www.maf.ge).

აუდიტი დაიწყო 2011 წლის 28 თებერვალს დამთავრდა 2011 წლის 19 მარტს.

### შემოკლებანი:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სამინისტრო;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – წლიური საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;
7. სსიპ - „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი“ – „საკოორდინაციო ცენტრი“.

### ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1. აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

1. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

1. სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტის პროექტი წარდგენილი აქვს 96664,5 ათასი ლარზე (მათ შორის 2010 წლის პროგნოზი 55223,3 ათასი ლარი და ჭერს ზევით მოთხოვნილი 41441,2 ათასი ლარი). თანხები ჭერს ზემოთ მოთხოვნილია „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების“ პროგრამაზე 30000,0 ათასი ლარი, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის აპარატის შრომის ანაზღაურების მუხლით 941,0 ათასი ლარი, პროგრამაზე „ხელოვნური განაყოფიერების სერვის-სამსახურები“ – 500,0 ათასი ლარი და პროგრამაზე „2010 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ 10000,0 ათასი ლარი.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2009 წლის 4 დეკემბრის N2230-IIს საქართველოს კანონით, სამინისტროს დაუმტკიცდა 55348,0 ათასი ლარის დაფინანსება (მათ შორის სახ. ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება 31904,7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებისა და გრანტების სახით 23443,3 ათასი ლარი).


ინფორმაცია, სამინისტროს მიერ წარდგენილი 2010 წლის საბიუჯეტო განაცხადის, დამტკიცებული ბიუჯეტის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ მოცემულია წინამდებარე ცხრილში და წარმოდგენილია გრაფიკულად.

(ათას ლარებში)

ორგანიზაციული კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკირის მუხლები	2010 წლის წარდგენილი განაცხადი	2010 წლის წარდგენილი ბიუჯეტი I (04.12.2009 წ.)	2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი II (18.06 და 02.07. 2010წ.)	2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი III (19.11.2010 წ.)	2010 წლის დაზუსტებული გრაფიკი
1	2	3	4	5	6	7
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	96 664,5	55 348,0	40 287,0	38 349,1	38 680,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	567	627	627	593	593
1	ხარჯები	48 111,6	37 887,2	24 667,6	26 572,8	26 672,5
1.1	შრომის ანაზღაურება	7782,0	5990,5	5990,5	5990,5	6051,5
1.2	საქონელი და მომსახურება	5969,2	5654,2	5235,4	5226,2	4866,8
1.5	სუბსიდიები	18 637,5	6707,5	7812,0	6578,1	6512,1
1.6	გრანტები	2360,0	2360,0	3932,4	3792,4	3842,4
1.7	სოციალური უზრუნველყოფა	35,0	55,0	55,0	54,8	120,8
1.8	სხვა ხარჯები	13 327,9	17 120,0	1642,3	4930,8	5278,8

2	არაფინანსური აქტივების ზრდა	38952,9	6742,9	5664,1	5846,3	6076,9
3	ფინანსური აქტივების ზრდა	9600,0	10 717,9	9955,3	5930,0	5930,0
4	ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0,8

(ათას ლარებში)



აუდიტის პერიოდში, სამინისტროს თხოვნით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე განხორციელებულია 15 ცვლილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N52, N63, N124, N130, N184, N235, N351, N435, N591, N729, N748, N999, N1000, N1036, N1095). ცვლილებების საერთო მოცულობამ 829,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისობაშია ზემო აღნიშნული კოდექსით დადგენილ ნორმასთან (5%).

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 19 ნოემბრის კანონის თანახმად, სამინისტროს დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 38 349,1 ათასი ლარი, ხოლო პერიოდის ბოლოს დაზუსტებულმა - 38 680,1 ათასი ლარი (331,0 ათასი ლარით მეტი). აღნიშნული გეგმის დაზუსტება განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების და ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცნობების საფუძველზე, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 სექტემბრის N1152 განკარგულებით პროგრამა „ქართული ღვინო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის“ (ორგ. კოდი 37 03 05) გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდა 60,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხით გაიზარდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი (ორგ. კოდი 53 06). ამავე განკარგულებით თანხა

## საქართველოს კონტროლის პალატა

მიმართული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისამართით სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს „კოლხეთი - მ“-ის კაპიტალის გაზრდის მიზნით (ხარჯთაღრიცხვის ცნობა N810 17 სექტემბერი); საქართველოს მთავრობის 22 ოქტომბრის N1365 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 208,0 ათასი ლარი (ცნობა N176 22 ოქტომბერი, ფქვილის შესაძენად); საქართველოს მთავრობის 23 აგვისტოს N1083 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 184,0 ათასი ლარი (2010 წლის რთველის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი მთლიანი ასიგნების დარჩენილი ნაწილი, ხარჯთაღრიცხვის ცნობა N199 26 ნოემბერი).

სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა, აგრეთვე საკასო და ფაქტობრივმა ხარჯებმა, ნაერთი ბალანსის შესაბამისი ფორმების მიხედვით მიიღო შემდეგი სახე:

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ფატობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-4)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგნება	38 680,2	32 462,6	33 422,4	-	5257,8	-
ხარჯები მათ შორის:	26 672,5	22 995,2	21 631,9	26 489,7	5040,6	4857,8
შრომის ანაზღაურება	6051,5	6040,9	5985,4	5985,5	66,1	0,1
საქონელი და მომსახურება	4866,8	4002,6	3821,7	4315,7	1045,1	493,9
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	4247,0	-	4247,0
სუბსიდიები	6512,1	4368,8	3817,1	3849,7	2757,1	32,5
გრანტები	3842,4	3188,9	2789,0	2873,3	1053,4	84,3
სოციალური უზრუნველყოფა	120,8	119,3	115,2	115,2	5,6	0
სხვა ხარჯები	5278,8	5274,7	5103,5	5103,5	175,3	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6076,9	3586,7	3264,9	-	2812,0	-

ფინანსური აქტივების ზრდა	5930,0	5879,9	8524,8	-	(2594,8)	
ვალდებულების კლება	0,8	0,8	0,8	-	-	-

თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიხედვით, საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილების სახით:

### 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაცია (კოდი 3701)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-3)	სხვაობა ფატობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	4496,8	4275,7	-	221,1	-
ხარჯები მათ შორის:	4271,8	4118,6	7550,2	153,2	3431,6
შრომის ანაზღაურება	2071,6	2071,6	2071,6	0	0
საქონელი და მომსახურება	1790,4	1642,6	1716,1	147,8	73,5
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	3358,1	-	3358,1
სოციალური უზრუნველყოფა	95,8	92,8	92,8	3,0	-
სხვა ხარჯები	314,0	311,8	311,8	2,2	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	175,0	157,0	-	17,9	-
ფინანსური აქტივების ზრდა	50,0	-	-	50,0	-

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (3431,6 ათასი ლარი) სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში -73,5 ათასი ლარი წარმოადგენს წინა პერიოდში შეძენილი და ჩამოწერილი მარაგების, ასევე საწყობში დარჩენილი გაუხარჯავი მასალების ღირებულების ჯამს.

ძირითადი კაპიტალის მუხლში – 3358,1 ათასი ლარი არის ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთის ღირებულება.

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით სამინისტროს ადმინისტრაციის მიერ 2010 წლის განმავლობაში განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვები 1346,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: 5 ტენდერით 397,6 ათასი ლარის, 3 ფასთა კოტირებით 129,2 ათასი ლარის, ხოლო ეპმ-ის საშუალებით 819,1 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები.

## 2. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (კოდი 37 02)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-3)	სხვაობა ფატობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	4522,7	4026,1	-	496,6	-
ხარჯები მათ შორის:	4422,7	3934,3	4638,8	488,4	704,5
შრომის ანაზღაურება	2432,7	2407,1	2407,1	25,6	0
საქონელი და მომსახურება	1921,5	1460,3	1806,7	461,2	346,4
სოც.უზრუნველყოფა	20,0	18,9	18,9	1,1	0
სხვა ხარჯები	48,5	48,0	48,0	0,5	0
გრანტები	-	-	358,1	-	358,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	100,0	91,8	-	8,2	-

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (704,5 ათასი ლარი) სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

346,4 ათასი ლარი – წინა პერიოდის მარაგების ხარჯვასა და ახალ შეძენას შორის სხვაობით, ხოლო 358,1 ათასი ლარის გრანტის სახითი მიღებული მასალების ფაქტობრივ ხარჯებში ჩამოწერით.

3.სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“ (კოდი 37 03)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-3)	სხვაობა ფატობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	8377,1	7535,7	-	841,4	-
ხარჯები მათ შორის:	8367,0	7532,7	7581,5	834,3	48,8
შრომის ანაზღაურება	477,8	448,1	448,1	29,7	-
საქონელი და მომსახურება	787,2	416,1	420,3	371,1	4,2
სუბსიდიები	2134,0	1878,5	1911,1	255,5	32,6
გრანტები	50,0	45,4	45,4	4,6	0
სოც. უზრუნველყოფა	5,0	3,4	3,4	1,6	0
სხვა ხარჯები	4913,0	4741,2	4741,2	171,8	0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	12,0	-	12,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	2,9	-	7,1	-
ვალდებულების კლება	0,1	0,1	-	0	-

სხვაობა, ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (48,8 ათასი ლარი) გამოწვეულია: 32,6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების ჩამოწერით, 4,2 ათასი ლარი მარაგების შემენესა და ჩამოწერას შორის წარმოქმნილი სხვაობით და 12,0 ათასი ლარი ცვეთის დარიცხვით.

4. სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია(კოდი 37 04)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-3)	სხვაობა ფატობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	1450,3	1368,5	-	81,8	-
ხარჯები მათ შორის:	1439,6	1364,0	1434,0	75,6	70,0
შრომის ანაზღაურება	1069,4	1058,8	1058,8	10,6	0
საქონელი და მომსახურება	367,7	302,7	372,6	65,0	70,0
სხვა ხარჯები	2,5	2,5	2,5	0	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	3,8	-	6,2	0
ვალდებულების კლება	0,7	0,7	-	-	0

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში სხვაობა (70,0 ათასი ლარი) გამოწვეულია: წინა პერიოდში შეძენილი საწვავის ჩამოწერით, ლაბორატორიული მასალების და მედიკამენტების არსებული მარაგებიდან გახარჯვით.

5. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებული საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები (კოდი 37 05)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის (2-3)	სხვაობა ფატობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგნება	19833,2	13434,4	16216,3	-	3616,9	-
ხარჯები მათ შორის:	8171,3	4566,2	4682,1	4461,5	3489,2	(220,5)
სუბსიდიები	4378,1	1876,4	1938,5	1938,6	2439,6	0,067

## საქართველოს კონტროლის პალატა

გრანტები	3792,4	2689,8	2743,6	2469,7	1048,8	(273,8)
სხვა ხარჯები	0,8	-	-	-	0,8	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	53,2	-	53,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5781,9	3009,4	3009,4	-	2772,5	-
ფინანსური აქტივების ზრდა	5880,0	5858,8	8524,8	-	(2644,8)	-

განსხვავება სუბსიდიების ნაწილში მოთხოვნასა და გადახდას (საკასო ხარჯი) შორის 62,1 ათასი ლარი არის, სოფლის განვითარების პროექტისთვის კომერციული ბანკის ყოფილი სპეციალური ანგარიშიდან გადახდილი თანხა.

გრანტების ნაწილში, გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის 273,8 ათასი ლარი წარმოადგენს ამ პერიოდში წარმოქმნილ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებების ჯამს, ხოლო განსხვავება მოთხოვნასა და გადახდას შორის 53,8 ათასი ლარი, გადახდილია მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში სამშენებლო კონტრაქტორისათვის კომერციული ბანკიდან.

ფინანსური აქტივის მუხლით სხვაობა გადახდასა და დაზუსტებულ გეგმას შორის 2644,8 ათასი ლარი წარმოადგენს დაბრუნებული სესხების, ბრუნვადი ანგარიშიდან გაცემული სესხების და გადაფასების კომბინაციას.

2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 627 ერთეულით, 2009 წელთან შედარებით 143 ერთეულით მეტი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ სსიპ-ების ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტის“ და „საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის“ საშტატო რიცხოვნობა, შესაბამისად 30 ერთეული და 113 ერთეული 2010 წლამდე ბიუჯეტის კანონში არ აისახებოდა, როგორც სუბსიდიაზე მყოფი ორგანიზაციები.

2010 წლის 19 ნოემბრის ცვლილებით ბიუჯეტის კანონში სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა შემცირდა 593 ერთეულამდე ანუ 34 ერთეულით. ნაერთი ბალანსის მიხედვით ფაქტიურად დაკავებული იყო 581 საშტატო ერთეული.

შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით

გათვალისწინებულ (საშტატო რიცხოვნობის 2%) შეზღუდვაზე დაშვებულია გამონაკლისი საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 ნოემბრის N157 განკარგულებით და სამინისტროზე მთლიანად დაშვებულია 144 ერთეული, ფაქტიურმა რიცხოვნობამ შეადგინა 123 ერთეული, ხოლო მათზე გაცემულმა შრომის ანაზღაურებამ 323,4 ათასი ლარი.

ნაერთი ბალანსის მიხედვით:

შრომის ანაზღაურების მუხლით საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 5985,4 ათასი ლარი, მათ შორის პრემიის სახით გაცემულია 680,1 ათასი ლარი (11,4%).

მივლინების მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 804,3 ათასი ლარი, მათ შორის ქვეყნის გარეთ მივლინებამ 518,7 ათასი ლარი.

სამინისტროს წლიური საბიუჯეტო კანონით თავდაპირველად 11 პროგრამის ღონისძიებებისთვის დაუმტკიცდა 18765,0 ათასი ლარის დაფინანსება. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

პროგრამა „რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარება“ (14000,0 ათასი ლარი) კანონში პირველივე ცვლილების შემდეგ ამოღებული იქნა ისე, რომ სამინისტროს მიერ არც დამტკიცებული ყოფილა და არც განაცხადით არ ყოფილა მოთხოვნილი.

პროგრამაზე „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“ 2000,0 ათასი ლარის ოდენობით დამტკიცებული დაფინანსება, სამინისტროს თხოვნით შემცირდა 1968,8 ათასი ლარით, რაც განაპირობა შპს „სიონი-მ“-ის კაზრეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისას წარმოშობილი პრობლემების გამო (ადრეული ხანის სამარხების აღმოჩენა) ხელშეკრულების შეწყვეტამ.

სამინისტროს ადმინისტრაციაში შემავალი პროგრამებიდან („სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია“ და „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“) აუთვისებელი თანხები, შესაბამისად 27,0 ათასი ლარი და 50,0 ათასი ლარი გადატანილია სამინისტროს აპარატის კოდში თანამშრომელთა წახალისების (პრემიებისთვის) მიზნით.

პროგრამა „მსოფლიო ღვინის კონგრესის“ ღონისძიებებისთვის თავდაპირველად დამტკიცდა 700,0 ათასი ლარის დაფინანსება, ხოლო შემდგომ სამინიჭროს ხელმძღვანელობის თხოვნით დაემატა 706,0 ათასი ლარი, მათ შორის 500,0 ათასი ლარი გადმოტანილი იქნა „სამტრესტის“ აპარატის ხარჯების კოდიდან (ჰოლოგრამების შეძენის დროებით შეჩერების გამო) და 206,0 ათასი ლარი პროგრამა „ქართული ღვინო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების“ კოდიდან (ვინაიდან ქ. ლონდონში ქართული კუთხის სარემონტო სამუშაოების ჩატარება გადატანილ იქნა 2011წლისათვის).

პროგრამაზე „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“ 2010 წელს გამოყოფილი 100,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 2,8 ათასი ლარი, ნაწილობრივ შესყიდვების სააგენტის მიერ ტენდერის შეწყვეტის გამო (თუმცა წინა წლებშიც აუთვისებელი რჩებოდა აღნიშნული პროგრამით გამოყოფილი თანხები).

2010 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 პროგრამის დამატება „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ (4984,0 ათასი ლარი) და „პიბრიდული ჯიშის ნარგაობების ჩანაცვლების ღონისძიებები“ (400,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 192,9 ათასი ლარი).

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის 3 პროგრამისთვის 1125,0 ათასი ლარის დაზუსტებული გეგმის ფარგლებში ათვისებულია 725,5 ათასი ლარი (67,0%).

სულ 12 პროგრამის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8343,2 ათასი ლარი, ხოლო ათვისებამ 7533,0 ათასი ლარი (90,3%), ანუ 810,2 ათასი ლარით ნაკლები.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში 4 პროგრამაზე დამტკიცდა 26143,3 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმით ასიგნებები შემცირდა 19833,2 ათას ლარამდე, გადახდამ კი შეადგინა 16216,3 ათასი ლარი.

წლიური საბიუჯეტო კანონის საბოლოო ცვლილებით (2010 წლის 19 ნოემბერი) დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის არსებული

სხვაობები (30%-ზე მეტი) და დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობების (15%-ზე მეტი) შესახებ განმარტებები წარმოდგენილია დანართის სახით.

ამრიგად, სამინისტროს მიერ ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილება მიგვანიშნებს, რომ ხარჯების საპროგნოზო მონაცემების განსაზღვრისას ადგილი აქვს არაზუსტ გათვლებსა და გაანგარიშებებს, რითაც მათ მიერ დასაგეგმი წლის ასიგნებისათვის პროგნოზის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

## 2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2010 წლის განმავლობაში სამინისტროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო სულ 6308,0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიიღო 5192,0 ათასი ლარი, ათვისებულია 5019,2 ათასი ლარი, აუთვისებელი დარჩა 171,8 ათასი ლარი, ხოლო 1117,0 ათასი ლარი აღდგენილ იქნა მთავრობის სარეზერვო ფონდში. კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 აგვისტოს N1083 განკარგულებით პროგრამა „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის“ გამოიყო 6100,0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4984,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო და ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4812,2 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდში აღდგენილი იქნა 1116,0 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა 171,8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ოქტომბრის N1331 და 22 ოქტომბრის N1365 განკარგულებებით, ოკუპირებული ტერიტორიების ხაზის პირას მდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფქვილით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 208,0 ათასი

ლარი, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 207,0 ათასი ლარი, ხოლო 1,0 ათასი ლარი აღდგენილ იქნა მთავრობის სარეზერვო ფონდში.

3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, სამინისტროს ფულადი გრანტი არ მიუღია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2010 წლის ნაერთი ბალანსის ფორმა N5-ში ძირითადი აქტივების გრანტების გრაფაში ასახული თანხა 13918,9 ათასი ლარი მოიცავს: საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის N706 განკარგულებით - საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 2008 წლის 25 დეკემბერს ნოტების ურთიერთგაცვლის საფუძველზე იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი არასაპროექტო გრანტის (1,2 მილიარდი იენი) ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადაცემული აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ღირებულებით - 13720,2 ათასი ლარი.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2010 წელს მიიღო: 92 ერთეული ტრაქტორი, 25 ერთეული კომბაინი და 53 ერთეული სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N182 განკარგულებით აღნიშნული გრანტით მიღებული ტექნიკა გადაეცა შპს „მექანიზატორს“.

„ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბების“ (GTZ) პროექტიდან გადმოცემულია ავტომანქანები ღირებულებით 95,9 ათასი ლარის, ხოლო სხვადასხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 102,8 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე მიღებულია 656,8 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები.

4. დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან  
შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა

სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 50517,1 ათას ლარს, მათ შორის „საკორდინაციო ცენტრის“ – 27585,3 ათასი ლარი.

დებიტორული დავალიანებები მოიცავს: ფინანსურ აქტივს (სესხები) 38035,6 ათასი ლარის, მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 3474,3 ათასი ლარის, მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით 4745,9 ათასი ლარის და სხვა დებიტორულ დავალიანებებს 4261,3 ათასი ლარის ოდენობით. ფინასური აქტივის მუხლით სესხები გაცემულია: 11176,3 ათასი ლარი სამინისტროს აპარატის მიერ 2004,2006,2007,2009 წლებში; 6525,0 ათასი ლარი სსიპ-ს „სამტრესტის“ მეშვეობით 2007,2009 წლებში, ხოლო 20334,3 ათასი ლარი „საკორდინაციო ცენტრის“ მიერ სხვადასხვა პროექტებისთვის.

ამავე პერიოდისთვის კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 6218,8 ათასი ლარი(ძირითადად წარმოქმნილია 1996–2000წლებში), მათ შორის საკორდინაციო ცენტრის – 2746,8 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანებები მოიცავს: გადასახდელ ხელფასებს 1775,7 ათასი ლარის, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებს 1801,3 ათასი ლარის, ვალდებულებებს მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1275,8 ათასი ლარის და სხვა დანარჩენ კრედიტორულ დავალიანებებს 1366,0 ათასი ლარის ოდენობით.

სამინისტროს დებიტორულ – კრედიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში<sup>1</sup>:

(ათას ლარებში)

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	ნაშთი 01.01.2010 წლის მდგომარეობით		ნაშთი 01.01.2011 წლის მდგომარეობით		2010 წელს წარმოშობილი		შენიშვ ნა
	დებიტორ ული	კრედიტო რული	დებიტორ ული	კრედიტო რული	დებიტორ ული	კრედიტო რული	

<sup>1</sup> ინფორმაცია არ მოიცავს სსიპ „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკორდინაციო ცენტრის“ დებიტორ – კრედიტორების შესახებ ინფორმაციას, ვინაიდან ორგანიზაციის მიერ ვერ ხერხდება, ნაერთ ბალანსზე თანდართული ფორმით დებიტორ – კრედიტორების შესახებ მონაცემების შედგენა.

	დავალიანება	დავალიანება	დავალიანება	დავალიანება	დავალიანება	დავალიანება	
1	2	3	4	5	6	7	8
შრომის ანაზღაურება	26.1	2444.3	26.1	2375.9	0	0	
საქონელი და მომსახურება	3145.1	936.2	2537.1	917.6	0,1	2.6	
სუბსიდიები	1025.4	0.7	923.5	0	0	0	
სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0.02	0	0.02	
სხვა ხარჯები	2590.5	178.5	1737.9	178.5	0	0	
არაფინანსური აქტივების შეძენა	0.8	0	5.9	0	5.1	0	
ფინანსური აქტივების შეძენა	21696.3	0	17701.3	0	0	0	
<b>სულ:</b>	<b>28484.2</b>	<b>3559.7</b>	<b>22931.8</b>	<b>3472.02</b>	<b>5.2</b>	<b>2.62</b>	

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დებიტორული დავალიანება შემცირებულია 5552,4 ათასი ლარით. აქედან, საქონელი და მომსახურების მუხლი – 608,0 ათასი ლარი, სუბსიდიები – 101,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 852,6 ათასი ლარი და ფინანსური აქტივების შეძენა (დაბრუნებულია სესხები) – 3995,0 ათასი ლარი.

დებიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კრედიტორული დავალიანება შემცირებულია 87,7 ათასი ლარით. აქედან, შრომის ანაზღაურების მუხლი – 68,3

ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 18,7 ათასი ლარი და სუბსიდიები – 0,7 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



## 1.2 რეკომენდაცია:

სამინისტროს მიერ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები განსაზღვრული იქნას ზუსტი გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ, შემუშავებული და გატარებული იქნას დამატებითი ღონისძიებები ბალანსზე რიცხული დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად და ახალ დავალიანებათა წარმოშობის აღმოსაფხვრელად.

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1 აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ბალანსები შედგენილია სამინისტროს ადმინისტრაციის, სამინისტროს მმართველობისა და კონტროლის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სსიპ-ების მიერ წარდგენილი ბალანსების საფუძველზე. ამასთან მათ მიერ

ანგარიშგების ფორმები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია დამოუკიდებლად და წარდგენილი აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვადების დაცვით.

სამინისტროს ნაერთი ბალანსის ციფრობრივი მონაცემების შედარებით სისტემის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მონაცემებთან სხვაობები არ გამოვლენილა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2010 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია ვადების დაცვით.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული სამინისტროს პრიორიტეტებია:

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია;
2. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;
3. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა;
4. სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
5. მეცხოველეობის განვითარება.

პრიორიტეტების მიმართულებების შესაბამისად დამტკიცებულია პროგრამები, რომელშიც ასახულია მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია.

რეკომენდაცია:

პრიორიტეტების და პროგრამების შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს კონკრეტულად რა შედეგი იქნა მიღწეული და რა მასშტაბით მოხდა მისი დაწერგვა- გავრცელება.

ნაწილი - IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქუთავან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის  
(ეკონომიკური საქმიანობის სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტი):

უფროსი აუდიტორი  
ჯგუფის ხელმძღვანელი

ანა ალავერდაშვილი

ო. ქარებული 23.06.116.  
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორები:

მირიან ჯორჯიაშვილი

ქ. ჯორჯიაშვილი 23.06.116.  
ხელმოწერა თარიღი

მამუკა გოგოხია

მ. გოგოხია 23.06.2016.  
ხელმოწერა თარიღი